



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “ღანელია საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივარი № 68622/01)

ბადაყვირთილია

სტრასბურში

2006 წ. 17 ოქტომბერი

საკოლორე ბახდა
17/01/2007

წინამდებარე
გადასინჯვას

გადაწყვეტილება

შესაძლოა

დაექვემდებაროს

რედაქციულ

საქმეზე დანელია საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა პალატის სახით (მეორე სექცია), რომელიც შემდეგი მოსამართლეებისაგან შედგებოდა:

ბ-ნი ჟ.-პ. კოსტა, პრეზიდენტი,

ბ-ნი ა.ბ. ბაკა,

ბ-ნი ი. კაბრალ ბარეტო,

ბ-ნი მ. უგრეხელიძე

ქ-ნი ა. მულარონი

ქ-ნი ე.ფურა-სანდსტრომი

ბ-ნი დ. პოპოვიჩი, მოსამართლეები,

და ქ-ნი სალი დოლე სექციის განმწესრიგებელი

იმსჯელა რა განმარტოებით 2005 წ. 6 სექტემბერსა და 2006 წ. 6 ივლისს, სასამართლომ გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს საფუძველად უდევს საქართველოს მოქალაქის ბ-ნი დავით დანელიას (შემდგომში „მომჩივანი“) მიერ 2001 წ. 28 მარტს ევროპული სასამართლოსადმი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი (№68622/01).

2. მომჩივანს თბილისში მოქმედი ადვოკატი ქ-ნი თ. შენგელია წარმოადგენდა. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდნენ: ბ-ნი ლ. ჭელიძე, შემდგომში ქ-ნები თ. ბურჯალიანი და ე. გურეშიძე საქართველოს გენერალური წარმომადგენლები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ხოლო 2005 წ. 1 სექტემბრიდან კი ბ-ნი ს. პაპუაშვილი – სახელმწიფო წარმომადგენელი.

3. მომჩივანი ძირითადად ჩიოდა წინასწარი დაკავების დროს მიყენებულ არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობასა და სხეულზე ძალადობის კვალის არსებობის დადგენის მიზნით დამოუკიდებელი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შეუძლებლობის შესახებ.

4. საჩივარი სასამართლოს მეორე სექციას გადაეცა (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). პალატას, რომელსაც წინამდებარე საქმე უნდა განეხილა (კონვენციის 27-ე მუხლი, §1) რეგლამენტის 26-ე §1 მუხლის შესაბამისად შეიქმნა.

5. 2004 წ. 1 ნოემბერს, სასამართლომ შეცვალა სექციების შემადგენლობა (რეგლამენტის 25-ე მუხლი, §1) და წინამდებარე საჩივარი უკვე განახლებულ მეორე სექციას გადაეცა (52-ე მუხლი §1).

6. 2005 წ. 6 სექტემბერს, პალატამ საჩივარი ნაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა და მხარეებს დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარდგენა სთხოვა (რეგლამენტის 54-ე მუხლის, §2, ა). 7. 2005 წ. 2 ნოემბერს, საქართველოს მთავრობამ დამატებით

წარმოადგინა წერილობითი მიმოხილვა (რეგლამენტის 59-ე მუხლი, §1). რაც შეეხება მომჩივანს, მან 2005 წ. 30 ნოემბერს სასამართლოს ამცნო, რომ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები მას უარს უცხადებდნენ სისხლის სამართლის საქმის ხელმისაწვდომობაზე, შესაბამისად, მისი მხრიდან შეუძლებელი ხდებოდა ევროპული სასამართლოს მითითების შესრულება.

8. 2005 წ. 21 დეკემბერს, სასამართლომ საქართველოს მთავრობას სთხოვა 2006 წ. 1 თებერვლამდე წარმოედგინა წერილობითი კომენტარები განმცხადებლის ზემოაღნიშნულ მტკიცებებთან დაკავშირებით, რაზეც საქართველოს მთავრობას პასუხი არ წარუდგინია.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

9. მომჩივანი დავით დანელია საქართველოს მოქალაქეა, დაბადებული 1973 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში.

10. 1999 წ. აპრილიდან 2000 წ. 1-ლ ოქტომბრამდე მომჩივანს ეკავა დაკავებულთა და მსჯავრდებულთა ზედამხედველის თანამდებობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის სამედიცინო დაწესებულებაში (ციხის ცენტრალური საავადმყოფო). ამ დაწესებულების დირექტორის მიერ 2 მარტს და 2000 წ. 1-ლ ივლისს გაცემული ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა განმცხადებლის ძირითადი ფუნქციების განხორციელების ფარგლები. ამ ორი დამატებითი ბრძანების მიხედვით 2000 წ. 2 მაისიდან, უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, მომჩივანს დაევადა ყოველ დღით და საღამოს გაეკონტროლებინა პატიმართა და მსჯავრდებულთა პალატები. 2000 წ. 1-ლი ოქტომბრის ღამეს, განმცხადებლის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, თორმეტმა მსჯავრდებულმა, რომელთა შორისაც ეკონომიკისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრი ბ-ნი გ. აბსანძე იყო (იხ. 2004 წ. 20 ივლისის გადაწყვეტილება განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღების შესახებ, საქმეზე აბსანძე საქართველოს წინააღმდეგ საჩივარი №57861/00) ერთ-ერთი მათგანის პალატაში გათხრილი 30მეტრიანი გვირაბის საშუალებით, ორგანიზებული გაქცევა განახორციელეს.

11. 2000 წ. 1-ლ ოქტომბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. იმავე დღეს მომჩივანი მოწმის სახით დაიკითხა. შუადამისას იგი ზემოაღნიშნული გაქცევის საქმესთან დაკავშირებით დააკავეს როგორც ეჭვმიტანილი და მოათავსეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში. 2000 წ. 3 ოქტომბერს მას ბრალი დაედო სამსახურეობრივ გულგრილობაში, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია (სისხლის სამართლის კოდექსის 342 (§2) მუხლი). საქმის გამოძიება დაევადა საქართველოს გენერალური პროკურატურის წინასწარი გამოძიების სამსახურს („საგამოძიებო ნაწილი“).

12. 2000 წ. 3 ოქტომბერს ადვოკატთან შეხვედრისას მომჩივანმა, აღნიშნა, რომ 1-ლ, 2 და 3 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ბრალის აღიარების მიზნით მის მიმართ ძალადობა განახორციელეს. ბ-ნმა

დანელიამ საჩივარა, რომ ელექტროშოკის დროს ყველაზე დაბალი სიხშირის დაბრუნება კი მას აუტანელ ტკივილებს აყენებდა. ყვირილის ჩასახშობად მას სახეზე კაუჩუკის აირწინაღს აფარებდნენ. მომჩივანი გონებას კარგავდა, მაგრამ ცივი წყლითა და ფეხის დარტყმით აფხიზლებდნენ და მის მიმართ ელექტროშოკის გამოყენებას აგრძელებდნენ. ამას გარდა, მას ფეხის ქუსლებზე კონდახს ურტყამდნენ. წამებისას პოლიციელები მისგან პატიმრების გაქცევაში მისი მონაწილეობის აღიარებას მოითხოვდნენ. დანელიას უნდა ეთქვა, რომ იგი დაეხმარა მსჯავრდებულებს ციხის ტერიტორიის დატოვებაში, სანაცვლოდ კი მნიშვნელოვანი თანხა აიღო.

13. მომჩივანმა სთხოვა ადვოკატს არ გაეგრძელებინა ეს ინფორმაცია, მანამ სანამ წინასწარი პატიმრობის საკითხი არ გადაწყდებოდა და მას წინასწარი გამოძიების იმ საპრობილეში არ გადაიყვანდნენ, რომელიც იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მომჩივანი განმარტავდა, რომ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში იგი უფრო მძიმე ძალადობისაგან თავის დაღწევას ვეღარ მოახერხებდა. ასეთ ზეწოლას იგი უკვე ვეღარ გაუძლებდა.

14. მთაწმინდა-კრწანისის (თბილისი) რაიონულმა სასამართლომ 2000 წ. 4 ოქტომბერს გამოიტანა დადგენილება განმცხადებლისათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით სამი თვით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ. 2000 წ. 13 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა 2000 წ. 4 ოქტომბრის რაიონული სასამართლოს დადგენილება. მაგრამ მომჩივანი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლაციურიდან იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულების ნაცვლად განუსაზღვრელი ვადით გადაიყვანეს უშიშროების სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლაციურში. 2000 წ. 8 ოქტომბერს ბ-ნი დანელია გასინჯა იზოლაციურის ექიმმა, რომელმაც მარჯვენა მხარის არეში არსებული ძველი ნაჭრილობების გარდა განმცხადებლის სხეულზე დაზიანების რაიმე კვალი ვერ აღმოაჩინა. ექიმმა ასევე საჩივარა, რომ ბ-ნი დანელიას ადმინისტრაციის წინაშე რაიმე საჩივრით არ მიუმართავს და რომ მას ინფექციური ან სქესობრივი გზით გადამდები რაიმე სხვა დაავადება არ აღმოაჩნდა.

15. დროის იმ მონაკვეთში, 2000 წ. 7 ოქტომბერს, მომჩივანმა ნება დართო ადვოკატს კომპეტენტური ინსტანციისათვის ემცნო რომ მისი კლიენტი 1დან 3 ოქტომბრამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისაგან ძალადობას განიცდიდა.

16. 2000 წ. 10 ოქტომბერს წინასწარი გამოძიების სტადიაზე ადვოკატმა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს განცხადებით მიმართა და მისი კლიენტის ელექტროშოკით წამების ფაქტის შესახებ აცნობა. განმცხადებლის ინტერესების დამცველი ირწმუნებოდა რომ მის კლიენტს სხეულზე კერძოდ, ხელებისა და ფეხების მიდამოებში ჯერ კიდევ აღენიშნებოდა ძალადობის ნიშნები (ნაჩხვლეტები), რომ ელექტროშოკის გამოყენებამ საგრძნობლად შეარყია განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომ მას გულის დაავადება განუვითარდა და, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობა საგანგაშო იყო. დაეყრდნო რა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლს, ადვოკატი საჭიროდ მიიჩნევდა დაცვის მხარის ინიციატივით დამოუკიდებელი ექსპერტების ქნების მ. ნ.- სა და ქ.ფ.-ს მიერ დამოუკიდებელი სასამართლო

სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნას, რომელსაც შემდეგ კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი:

„1. შეიმჩნევა თუ არა დაკავებულის სხეულზე ძალადობის ნიშნები. როგორია მათი სიმძიმის ხარისხი და მიყენების დრო.

2. რა შეიძლება ჩაითვალოს ამ ნიშნების წარმომშობ მიზეზად.

3. როგორია პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობა.“

17. ადვოკატი ითხოვდა, რომ ადმინისტრაციას არ გაეწია წინააღმდეგობა პატიმრის საკანში ზემოსხენებული დამოუკიდებელი ექსპერტების შეშვებასთან დაკავშირებით.

18. 2000 წ. 11 ოქტომბერს, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა. ბ-ნმა ი.-მ განიხილა ადვოკატის შუამდგომლობა „დაცვის მხარის მიერ დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, რაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ იმ მოტივით რომ დამოუკიდებელ ექსპერტებს ქნებს მ.ნ.-სა და ქ.ფ.-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის საპირისპიროდ არ გააჩნდათ „შესაბამისი ლიცენზია“ გამომძიებელმა უარყო დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევის მოთხოვნა. სამაგიეროდ, მან დანიშნა სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვებისათვის და რომლის ჩატარება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო სამედიცინო კვლევის ცენტრს დაევალა.

19. იმავე დღეს 2000 წ. 11 ოქტომბერს, გამომძიებელი ბ-ნი ი. და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერტი მომჩივანთან საკანში მივიდნენ. ამ ვიზიტთან დაკავშირებით შემდგარი ოქმიდან ირკვევა, რომ პატიმარმა უარი საჩივარა ზემოსხენებული ექსპერტიზის ჩატარებაზე და მოითხოვა, რომ იგი მის მიერ არჩეულ ორ დამოუკიდებელ ექსპერტს გამოეკვლია. ოქმში მითითებული იყო იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებიც აღნიშნულ ვიზიტს ადგილზე ესწრებოდნენ: გამომძიებელი, სახელმწიფო ექსპერტი, მომჩივანი, საპატომრო დაწესებულების ექიმი და ამავე დაწესებულების ხელმძღვანელი.

20. 2000 წ. 12 ოქტომბერს, განმცხადებლის ადვოკატმა საგამოძიებო ნაწილის უფროსთან ბ-ნ ბ.-სთან გაასაჩივრა 2000 წ. 11 ოქტომბრის დადგენილება და დააზუსტა რომ ქალბატონებს მ.ნ.-ს და ქ.ფ.-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გააჩნდათ „შესაბამისი კვალიფიკაცია“.

21. ბატონმა ბ.-მ ზემოაღნიშნული განცხადება განსახილველად მის მოადგილეს ბ-ნ თ.-ს გადასცა.

22. განმცხადებლის წამებას გამოხმაურება მოჰყვა მედიაში. ტელეკომპანია მე-9 არხს ხელში ჩაუვარდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან უშიშროების სამინისტროში გადაყვანისას განმცხადებლის მიერ მშობლებისადმი მიწერილი წერილი. ხსენებული წერილის რამდენიმე ნაწყვეტი გამოქვეყნდა გაზეთ „ახალი თაობის“ 2000 წ. 13 ოქტომბრის ნომერში: “ (...) ჩემზე ნუ იღარდებთ (...). ვფიქრობ რაც გადასატანი იყო უკვე გადავიტანე. მეჭკვებოდა საკმარისი გამძლეობა მექნებოდა თუ არა. არავის ვუსურვებ გადაიტანოს ის, რაც მე განვიცადე. რაც მთავარია, ახლა აღარ მეშინია ელექტროშოკის, მაგრამ თუ მაინც განმეორდება, ამას ვეღარ გადავიტან. როცა აქ ვადმოძიებანეს, ხელმეორედ დავიბადე. (...) მართალია აქ ყოფნა ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მიწევს, მაგრამ იმასთან შედარებით ეს ნამდვილი სამოთხეა. დამე შიშისაგან არ მძინავს (...).

ამ წერილის სრული ასლი საქმის მასალებში მოიპოვება.

23. ამ პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ, მომჩივანი ინახულეს ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ და სახალხო დამცველის წარმომადგენელმა. მათ დაადასტურეს, რომ ბრალდებულის ხელის მტევნებზე და თითებზე მართლაც შეიმჩნეოდა ნაჩხვლეტების კვალი და მუქი ყავისფერი ლაქები.

24. 2000 წ. 12 ოქტომბერს მიცემულ ინტერვიუში, დამოუკიდებელი ექსპერტი ქნი მ. ნ. ირწმუნებოდა, რომ ის ფაქტი, რომ იგი ბრალდებულთან გამოსაკვლევეად არ შეუშვეს, წარმოადგენდა სისხლის საპროცესო კოდექსის 359-ე მუხლის დარღვევას, რომლის მიხედვითაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას ატარებს საექსპერტო დაწესებულების, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი – სხვა დაწესებულების სპეციალისტი ან კერძო პირი.

25. გაზეთ “ასავალ-დასავალის” 2000 წ. 16-22 ოქტომბრის ნომრებში ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ მომჩივანის უარის მიუხედავად მისი წამების ფაქტი ეღიარებინა, იგი გამოუტყდა ქნ თავმჯდომარეს, რომ აღიარების შემთხვევაში მოსალოდნელი რეპრესიების ეშინოდა. განმცხადებლის ხელებსა და თითების არეში აღმოჩენილი შავი წერტილების არსებობის პირობებში საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ამტკიცებდა, რომ „დავით დანელია დანაშაულის აღიარების მიზნით მართლაც აწამეს.“

26. 2000 წ. 16 ოქტომბერს განმცხადებლის ადვოკატმა უშიშროების სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორის ხელმძღვანელს დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის მომჩივანთან საკანში შესვლის ნებართვის მოთხოვნით მიმართა და იზოლატორის უფროსს ამცნო, რომ აღნიშნულის თაობაზე გამოძიებელი ინფორმირებული იყო. თუმცა 2000 წ. 17 ოქტომბერს, ციხის საავადმყოფოდან გაქცეული პატიმრების დაკავების შემდეგ მომჩივანი იუსტიციის სამინისტროს წინასწარი გამოძიების საპატიმრო დაწესებულებაში გადაიყვანეს. დამოუკიდებელ ექსპერტიზის ჩატარებას არასდროს ჰქონია ადგილი.

27. 2000 წ. 27 ოქტომბერს მამის გარდაცვალების შემდეგ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლზე (§17) დაყრდნობით (ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთი ღონისძიების გადასინჯვა), განმცხადებლის ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს და განმცხადებლისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული წინასწარი პატიმრობის სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლა მოითხოვა. 2000 წ. 15 დეკემბერს თბილისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეეცვალის შესახებ და უფრო მსუბუქ ღონისძიებად შინაპატიმრობა შეეფარდა, სახლიდან გასვლის, სატელეფონო ზარების მიღებისა და გაგზავნის, კორესპონდენციის გაგზავნის უფლების გარეშე.

28. 2001 წ. 13 ოქტომბერს თბილისის საოლქო სასამართლოს წინაშე წარდგენილი მომჩივანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე (§2) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით განესაზღვრა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო

რეჟიმის სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მოხდით, რაც შეეცვალა პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელი ვადად სამი წელი დაუდგინდა. აღნიშნული განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წ. 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით.

29. განმცხადებლის მტკიცებით, 2002 წ. 18 ოქტომბერს, მისი ინტერესების დამცველმა მიიღო ბ-ნი თ-ს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების ზემოხსენებული პარაგრაფები 20 და 21) 2000 წ. 14 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომლითაც მას აცნობეს რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის საფუძველზე მისთვის ნებადართული იყო საკუთარი ხარჯებით დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება, თუკი აღნიშნულის შესახებ საქმის გამომძიებელს შეატყობინებდნენ. ასეთივე პასუხი მიიღო ევროპულმა სასამართლომ მთავრობის დამატებითი მიმოხილვების სახით (იხ. §§ 6 და 7), სადაც მთავრობა ადასტურებდა, 2000 წ. 14 ოქტომბრს ადვოკატისათვის წერილი გაგზავნის ფაქტს. მომჩივანი ირწმუნებოდა, რომ მას აღნიშნულთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოსათვის სათანადო არგუმენტაციის წარდგენა არ შეეძლო, ვინაიდან მთავრობა მომჩივანს მისი სისხლის სამართლის საქმის გაცნობის საშუალებას არ აძლევდა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პარაგრაფები 7 და 8).

II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა

30. იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მუხლი 44. §15

„ 15. გამომძიებელი - პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამდებობის პირი, რომელიც გამოძიებას აწარმოებს სრული მოცულობით.“

მუხლი 61 §1

„ 1. სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გამომძიებლები.“

მუხლი 96 §2

„2. ექსპერტად შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში ან აქვს ლიცენზია.“

მუხლი 230 §§ 2 და 3

„2. შუამდგომლობა წარედგინება თანამდებობის პირს ან ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა თუ გადაწყვეტისათვის.

3. შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს თხოვნას საპროცესო მოქმედების ჩატარების ან საპროცესო გადაწყვეტილების მიღების შესახებ ()“

მუხლი 235 § 1 და 2

„1. საჩივარი შეაქვთ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოში ან იმ თანამდებობის პირთან, რომელიც კანონით უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება (...)

2. საჩივარი მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან გამოძიების ორგანოს უფროსის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს შესაბამის პროკურორს. საჩივარი პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს ზემდგომ პროკურორს (...“

მუხლი 359. § 1 და 2

„1. ექსპერტიზას ატარებს საექსპერტო ან სხვა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის სპეციალისტი ან სხვა მცოდნე პირი, რომელსაც ნიშნავს მომკვლევი, გამომძიებელი ან პროკურორი, ანდა ანაზღაურებით იწვევენ მხარეები.

2. სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალ ისტიკურ ექსპერტიზას ატარებს საექსპერტო დაწესებულების, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი - სხვა დაწესებულების სპეციალისტი ან კერძო პირი .“

მუხლი 361§2

„2. განმეორებითი ექსპერტიზა ტარდება მაშინ, როცა ექსპერტის დასკვნა დაუსაბუთებელია, მისი სისწორე საეჭვოა, ან არასარწმუნოა მტკიცებულება, რომელსაც იგი ემყარება, ანდა მოხდა ექსპერტიზის ჩატარების საპროცესო წესის არსებითი დარღვევა. განმეორებითი ექსპერტიზა ევალება სხვა ექსპერტს. განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში უნდა აღინიშნოს მოტივი, რატომ არის საეჭვო წინა ექსპერტიზის დასკვნა. წინა ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტი შეიძლება დაესწროს განმეორებით ექსპერტიზას და მისცეს განმარტება, მაგრამ მომკვლევასა და დასკვნის შედგენაში ის არ მონაწილეობს “

მუხლი 364

„მხარეს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივითა და თავის ხარჯზე ჩაატაროს ექსპერტიზა იმ გარემოების დასადგენად, რომელსაც, მისი აზრით, შეუძლია ხელი შეუწყოს მის ივე ინტერესების დაცვას. ექსპერტიზის ჩატარებისა და ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მომკვლევს, გამომძიებელს ან პროკურორს, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე. საექსპერტო დაწესებულება ვალდებულია ჩაატაროს მხარის მიერ დანიშნული და ანაზღაურებული ექსპერტიზა. მხარის მოთხოვნით, ექსპერტის დასკვნა სავალდებულო წესით დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს და შეფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად.“

მუხლი 366§1

1. ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს ეჭვმიტანილ ს, ბრალდებულს ან დაზარალებულს ან მის წარმომადგე ნელსუფლება აქვს: ()

ბ) აცილება მისცეს ექსპერტს;

გ) მოითხოვოს, რომ ექსპერტი დანიშნონ მის მიერ მითითებულ პირთაგან;

დ) ჩაატაროს ალტერნატიული ექსპერტიზა თავისი ინიციატივითა და საკუთარი ხარჯებით. მოითხოვოს დაურთონ დასკვნა სისხლის სამართლის საქმეს (...“

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

31. მომჩივანი ჩივის, რომ ის წინასწარი დაკავების დროს წამების მსხვერპლი გახდა. თუმცა, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლებმა მას ჭეშმარიტების დადგენის მიზნით დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების ნება არ დართეს. მომჩივანი ირწმუნებოდა, რომ მის მიმართ აღვილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. ამ მუხლის მიხედვით:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.“

1. მხარეთა არგუმენტები

32. მთავრობა იმთავითვე უარყოფს წამების ფაქტს და ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მომჩივანმა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე არ დაასახელა იმ პირთა სახელები, რომლებმაც იგი ელექტროშოკით აწამეს, რომ მას აღნიშნულის დასამტკიცებლად არ წარუდგენია რაიმე სახის უტყუარი მტკიცებულება. უფრო მეტიც, მან ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერტს უარი განუცხადა გამოკვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით, რითაც ხელისუფლებას ხელს უშლიდა შეემოწმებინათ მისი პოზიცია. ამას გარდა, მომჩივანმა ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრისას მისი წამების ფაქტი უარყო (იხ. § 25). ამასთან, მთავრობა აღნიშნავს, რომ 2000 წ. 8 ოქტომბერს გაცემული სამედიცინო ცნობის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერდა დროებითი დაკავების იზოლატორის საკნის ექიმი, მომჩივანს სხეულზე რაიმე დაზიანება არ აღენიშნებოდა (იხ. § 14).

33. რაც შეეხება დამოუკიდებელი ექსპერტიზის საკითხს, მთავრობა თავდაპირველ მიმოხილვაში ირწმუნებოდა, რომ ქნების მ.ნ და ქ.ფ. მიერ ასეთი ექსპერტიზის ჩატარების „მოთხოვნის“ დაუკმაყოფილებლობა შეესაბამებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან, აღნიშნული პირები მუშაობდნენ შ.პ.ს. „აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში“, რომელიც საექსპერტო დაწესებულებას არ წარმოადგენდა. ინსტიტუტის საქმიანობა მოიცავდა კვალიფიციური ექიმების, საშუალო მედპერსონალის მომზადებას, სამეცნიერო მუშაობას, სამედიცინო დაწესებულების გახსნასა და ექსპლუატაციას. ამას გარდა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვეოდა, რომ შ.პ.ს. „აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს“ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარმოებაზე კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ლიცენზია არ გააჩნდა. ამ პირობებში

გამომძიებლის 2000 წ. 11 ოქტომბრის დადგენილება, მთავრობის აზრით, განმცხადებლის მოთხოვნაზე ადეკვატურ პასუხს წარმოადგენდა. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით დაინიშნა სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, მაგრამ მომჩივანმა ხელი შეუშალა ხსენებული დადაგენილების შესრულებას, რის გამოც რაიმე სახის ეფექტური გამოძიების წარმოებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, დანაშაულის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც არ დასმულა. მთავრობის აზრით, ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლის სიტყვები, ისევე, როგორც გამომძიებლის უარი დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ არ „სცდებოდა ყოველგვარი გონივრულ ეჭვს“, რათა დადასტურებულიყო განმცხადებლის მიმართ განხორციელებული წამების ფაქტი.

34. ლიცენზირების დეპარტამენტის ზემოხსენებული ინფორმაცია საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა. ევროპულმა სასამართლომ მთავრობას სთხოვა აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა და მიუთითა განემარტა ის მიზეზები, რის გამოც მომჩივანს დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების ნებართვა მხოლოდ ორი წ. შემდეგ მიეწოდა (იხ. §§ 6, 7, 29)

35. მთავრობამ აღნიშნულთან დაკავშირებით უპასუხა, რომ განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმე არ შეიცავდა 2000-2002 წლით დათარიღებულ რაიმე ინფორმაციას ქ-ნების მ.ნ-სა და ქ.ფ.-ს შესაბამისი ლიცენზირების არარსებობის შესახებ. თუმცა, მთავრობამ 2005 წ. 2 ნოემბერს ლიცენზირების დეპარტამენტისაგან მიიღო წერილი, რის საფუძველზეც დასტურდებოდა, რომ „აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი“ საქმის ფაქტობრივ გარემოებათა არსებობისას არ იყო ტეგისტრირებული როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულება. ამავე წერილიდან ირკვეოდა ისიც, რომ ქ-ნ ქ.ფ.-ს არც არასოდეს გააჩნდა და არც ეხლა ფლობს სახელმწიფო სერთიფიკატს სპეციალობაში სასამართლო მედიცინა. მაშინ, როდესაც ქ-ნმა მ.ნ.-მ აღნიშნული სერთიფიკატი 2003 წ. 28 ნოემბერს მიიღო. იგივე წერილი აზუსტებდა იმასაც, რომ სერტიფიცირება სპეციალობაში „სასამართლო მედიცინა“ მხოლოდ 2002 წ. იანვრიდან დაიწყო.

36. თავის დამატებით მიმოხილვებში (იხ. §§ 6 და 7) მთავრობა ეყრდნობოდა განმცხადებლის ადვოკატის 2000 წ. 10 ოქტომბრის შუამდგომლობასა და 2000 წ. 11 ოქტომბრის დადგენილებას, მაგრამ ბ-ნ თ-ს 2000 წ. 14 ოქტომბრის საპასუხო წერილზე აპელირებით იგი ძირითადად ამტკიცებდა, რომ სსსკ-ის 364-ე მუხლის შესაბამისად, მომჩივანს თავისუფლად შეეძლო ეწარმოებინა დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ხელისუფლებისაგან ყოველგვარი თანხმობის მიღების გარეშე. თუმცა, მას ეს უფლება არ გამოუყენებია. 37. მომჩივანი არ იზიარებს მთავრობის მოსაზრებას და ირწმუნება, რომ 2002 წ. 18 ოქტომბერს, როდესაც მისი ინტერესების დამცველმა ბ-ნი თ-ს პასუხი შეიტყო დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება უკვე აღარ არსებობდა, ვინაიდან ორი წ. წინ მიყენებული დაზიანებების კვალი სხეულზე უკვე შესამჩნევი აღარ იყო. ამას გარდა, იგი განმარტავს, რომ 2000 წ. 11 ოქტომბერს სახელმწიფო ექსპერტის მიერ გამოკვევის ჩატარებასთან დაკავშირებით ნათქვამი უარი მოტივირებული იყო

მისი ადვოკატის ადგილზე არყოფნით, რომელიც აღნიშნული საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმირებული არ იყო.

38. ევროპული სასამართლოს მითითების საფუძველზე წარმოდგინა დამატებითი ინფორმაცია, მომჩივანმა ბატონ თ.-ს საპასუხო წერილის წარდგენის გარდა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ მას ნება არ დართო გასცნობოდა მისი სისხლის სამართლის საქმის მასალებს და, რომ, აქედან გამომდინარე, მან სასამართლოს მითითების შესრულება ვერ შეძლო (იხ. §§ 6-7). კერძოდ, ის კორესპოდენცია რომელიც მომჩივანმა აღნიშნულ მითითებასთან დაკავშირებით წარადგინა, წარმოაჩენდა იმ გარემოებას, რომ გენერალური პროკურატურა, საოლქო და უზენაესი სასამართლოები შეთანხმებულად ერთმანეთს გადასცემდნენ განმცხადებლის მოთხოვნას, იმისათვის, რომ მას მისი სისხლის სამართლის საქმის კვალისათვის ვერცერთ აღნიშნულ უწყებებში ვერ მიეგნო.

39. მომჩივანმა სასამართლოს წინაშე შეძლო წარედგინა მხოლოდ ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის 2005 წ. 1 დეკემბრით დათარიღებული წერილი, რომელიც ადასტურებდა, რომ საქმის ფაქტობრივ გარემოებათა არსებობისას მომჩივანს სხეულზე მართლაც აღენიშნებოდა დაზიანებები, რომელიც განმცხადებლისათვის შეეძლოთ მიეყენებინათ წინასწარი დაკავების იზოლატორში „მისი ელექტროშოკით წამების დროს“.

2. სასამართლოს შეფასება

ა) არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ

40. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. (საქმე „Chahal v. United Kingdom“ 1996 წ. 15 ნოემბერი, გადაწყვეტილებათა და გადაწყვეტილებათა კრებული 1996-V, §96). აღნიშნული კი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს ყველა პატიმრისათვის ადამიანური ღირსების პატივისცემის შესაფერისი პირობების უზრუნველყოფას, რათა შეფარდებული სასჯელის ზომამ არ ჩააგდოს იგი იმაზე მეტ განსაცდელში და არ დათრგუნოს იმ ინტენსივობით, რომელიც აღემატება პატიმრობისათვის დამახასიათებელი შინაგანი ტანჯვის ჩვეულ დონეს და, რომ პრაქტიკაში არსებულ პატიმრობის პირობებისათვის აუცილებელ მოთხოვნათა შესაბამისად, დაპატიმრებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი კეთილდღეობა ადეკვატურად უნდა იქნას უზრუნველყოფილი (საქმე „ალასჰნიკოვ ვ. ლუსსია“, ნო 47095/99, § 95, 2002-VI).

41. ამასთან, მითითებული სავარაუდო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი ევროპული სასამართლოს წინაშე შესაბამისი მტკიცებულებებით ოუნდა იყოს დასაბუთებული (საქმე „Berktaş v. Turkey“ № 22493/93, §165, 2001 წ. 1 მარტი). იმისათვის, რომ დაადგინოს მითითებული ფაქტები სასამართლო იყენებს მტკიცებულებათა შეფასების ისეთ კრიტერიუმს რომელიც „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს სცილდება“ (საქმე „Farbtuhs v. Lithuania“,

№ 4672/02, §54, 2004 წ. 2 დეკემბერი). „გონივრული ეჭვი“ არის ეჭვი, რომლის მიზეზები შესაძლოა დასაბუთებულია (საქმე „Anguelova v. Bulgaria“, ნმითითებული ფაქტებიდან გამომდინარეობდეს. ხოლო არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც ასეთ ეჭვს სცილდება, უნდა წარმოადგენდეს იმ ფაქტობრივი მონაცემების ან დადასტურებული ვარაუდების ერთობლიობას, რაც უტყუარი, ზუსტი და ოპ 38361/97, §111, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2002-IV; საქმე „Shamayev and others v. Georgia and Russia“, № 36378/02, §338, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2005-...).

42. მოცემულ შემთხვევაში, მომჩივანი ირწმუნება, რომ იგი 2000 წ. პირველიდან 3 ოქტომბრამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლაციაში არაერთგზის იქნა ნაცემი კონდახის გამოყენებით, რომელსაც ფეხის ტერფებზე ურტყამდნენ. მის მიმართ ასევე გამოყენებულ იქნა ელექტროშოკი, რითაც მისი წამება განხორციელდა. მაგრამ ამ მხრივ ყველა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციისა და სხვა უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, რაც შედეგად მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ არათანმიმდევრულ ქმედებებს (§ 48), მხოლოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარის პირადი შეხედულებებისა (§§ 25 და 39) და სახალხო დამცველის წარმომადგენლის მტკიცებების (§ 23) გათვალისწინებით ევროპული სასამართლოს აზრით შეუძლებელი იყო ხელისუფლების მხრიდან ხელკეტისა და ელექტროშოკის გამოყენებით განმცხადებლის წამების ფაქტების დადგენა. გადაწყვეტილების მიღების საფუძველი (საქმე „Labita v. Italy“ [GC], საქმის მასალები არ შეიცავს ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გასცდებოდა „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს“ და გახდებოდა ამგვარი № 26772/95, §129, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2000-IV ; საქმე „Poltoratskiy v. Ukraine“, № 38812/97, §§ 122-124, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2003-V).

43. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ პატიმრობის პერიოდში განმცხადებლის მიმართ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

44. მაგრამ, სასამართლოს აზრით, როდესაც მომჩივანი ირწმუნება, რომ პოლიციის თანამშრომელთა ან სხვა სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან უკანონო და კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებებს, ხსენებული დებულება ამავე კონვენციის 1-ლ მუხლთან მიმართებით, რომელიც წევრ სახელმწიფოებს თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველა პირისათვის კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულებას აკისრებს, ასეთ შემთხვევაში ოფიციალური და ეფექტიანი ოგამოძიების წარმოებას მოითხოვს (საქმე „Assenov and others v. Bulgaria“, 1998 წ. 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, კრებული 1998-VIII, გვ. 3290, §§ 102-103; საქმე „Martinez Sala and others v. Spain“, № 58438/00, §156, 2004 წ. 2 ნოემბერის გადაწყვეტილება). აღნიშნულმა გამოძიებამ უნდა უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კანონიერი აკრძალვა იქნება პრაქტიკულად უშედეგო და მიუხედავად მისი ფუნდამენტური ღირებულებისა,

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფო მოხელეებს, სრულიად დაუსჯელად ფეხქვეშ გათელონ იმ პირთა უფლებები, რომლებიც მათ კონტროლს ექვემდებარებიან (საქმეები „Khachiev and Akayeva v. Russia, № 57942/00 და 57945/00, § 177, 2005 წ. 24 თებერვალი).

45. კონვენციის მე-3 მუხლის ეს პროცედურული მხარე თავს იჩენს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან განმცხადებლის საჩივრებთან მიმართებით დროული და ეფექტიანი რეაგირების არარსებობის პირობებში (საქმე „Ilhan v. Turkey“ [GC], № 22277/93, §§ 89-93, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2000-VII).

46. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ წარდგენილი ზედმიწევნით ზუსტი ინფორმაციის გათვალისწინებით განხორციელებული წამების ადგილის, დროის, პროცესის შესახებ, ასევე დაკავებულის ადვოკატის 2000 წ. 10 ოქტომბრის (პარაგრაფი 16) განცხადებაში მითითებული დეტალების მხედველობაში მიღებით, ამასთან მშობლებისადმი მიწერილი იმ წერილის მიხედვით, რომელიც საჯაროდ 2000 წ. 13 ოქტომბერს (პარაგრაფი 22) გამოქვეყნდა, ევროპულ სასამართლოს შესაძლებლობა მიეცა ევარაუდა, რომ პატიმრობის პერიოდში განმცხადებლის მიმართ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან შესაძლოა მართლაც ჰქონოდა ადგილი კონვენციის მე-3 მუხლის საპირისპირო მოპყრობას (ზემოხსენებული საქმე „Poltoratskiy“ §§ 60-70 და 126).

47. თუმცადა, სასამართლომ უნდა განიხილოს საკითხი იმასთან დაკავშირებით განმცხადებლის მიერ მოყვანილ ბრალდებათა შესახებ ეცნობა თუ არა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და ხელისუფლების მხრიდან შედეგად მოპყვა თუ არა აღნიშნულს სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიება.

ბ) განმცხადებლის საჩივრებთან დაკავშირებით წარმოებული მოკვლევის შესახებ

48. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ საგამოძიებო ნაწილში წარდგენილი განმცხადებლის 2000 წ. 10 ოქტომბრის საჩივართან დაკავშირებით მისი ინტერესების დამცველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი კლიენტი წინასწარი დაკავების დროს აწამეს. მან ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს შეატყობინა (იხ. § 11 *in fine* და § 30; სსსკ-ის მუხლები 44 (§15), 230 და 235) დანაშაულის შემადგენლობის შესახებ და აცნობა, რომ იმისათვის რათა დაედგინათ მიყენებული დაზიანებების ხარისხი, უნდა ჩატარებულიყო დამოუკიდებელი სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზა. გამომძიებელმა 2000 წ. 11 ოქტომბერს გამოსცა დადგენილება, მიიჩნია რა, რომ განმცხადებლის მიერ დასახელებულ ექსპერტებს ქნებს მ-ნ-სა და ქ-ფ-ს არ გააჩნდათ „შესაბამისი ლიცენზია“, რის გამოც გამომძიებელმა სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დანიშნა, რომელსაც მომჩივანი მხარე არ ენდობოდა. ეს უნდობლობა გამყარდა ადვოკატის დასწრების გარეშე (იხ. § 37) დანიშნული

ექსპერტიზის ჩატარების მცდელობის შედეგად. მომჩივანმა უარი საჩივარა ასეთი გამოკვლევის ჩატარებაზე.

49. ევროპული სასამართლო არ უარყოფს, რომ ამ უარს შეეძლო თავად განმხცადებელზე უარყოფითად ემოქმედა და მის საჩივართან დაკავშირებით ოფიციალური გამოძიების წარმოების არარსებობა გამოეწვია. მთავრობამ სწორედ აღნიშნული გარემოება მიუთითა (იხ. §§ 32 და 33) ირწმუნებოდა რა, რომ მომჩივანმა ხელი შეუშალა სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას და ნება არ დართო მოკვლევის შესაბამის ორგანოებს განსახორციელებელი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიება ეწარმოებინა.

50. თუმცა, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ შიდა სამართალი ფიზიკურ პირს შესაძლებლობას აძლევს საჩივაროს ექსპერტის აცილების შესახებ (სსსკ-ის 366-ე §1 ბ) იხ. § 30). განმცხადებლის მიერ ამ უფლებით სარგებლობის ფაქტი, სასამართლოს აზრით, მას საბოლოოდ არ უნდა ართმევდეს მისი საჩივრების სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიების უპირობო შესაძლებლობას. მით უფრო თუ მოცემულ შემთხვევაში არ ჩანს, რომ ეს სადავო უარი არაგონივრული ან განმცხადებლის მხრიდან გამოვლენილი რაიმე რთული ხასიათის გამომხატველი იყო. სინამდვილეში, სასამართლოსთვის არ არის გაუგებარი, ის რომ მომჩივანი, რომელიც ირწმუნებოდა რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა მას სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენეს და მუდმივად მოითხოვდა დამოუკიდებელი ექსპერტიზის დანიშვნას, შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მისი სურვილის საწინააღმდეგოდ სახელმწიფო ექსპერტის მიერ განსახორციელებელი გამოკვლევის ჩატარებისთვის. იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულ ექსპერტიზას მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ და იქ არ იმყოფებოდა განმცხადებლის ადვოკატი (§ 19). უფრო მეტიც, წარმომადგენლის დაუსწრებლობის შემთხვევაში მომჩივანს გაუჩნდებოდა სამართლიანი შიში იმისა, რომ შემდეგ იგი ვერ მიაღწევდა მეორე ექსპერტიზის დანიშვნას, რომლის ჩატარებაც შიდა კანონმდებლობის მიხედვით დამოკიდებული იყო მისი განხორციელების აუცილებლობის გარკვეულ წინაპირობებზე (იხ. სსსკ-ის 361-ე მუხლის §2; წინამდებარე გადაწყვეტილების §30).

51. ამ ვითარებაში ევროპული სასამართლო ვერ გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს იმის შესახებ, რომ ფიზიკური ზიანის მიმყენებელ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა გამოწვეული იყო განმცხადებლის უარით მისთვის სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე, რაშიც ხელისუფლება მომჩივანს ადანაშაულებს.

52. რაც შეეხება 2000 წ. 11 ოქტომბრის დადგენილებას, რითაც დაკავებულს უარი ეთქვა არჩეული ექსპერტების მიერ მისთვის გამოკვლევის ჩატარებაზე, ევროპულმა სასამართლომ იმთავითვე შენიშნა, რომ სსსკ 359-ე (§1) *in fine* 364 და 366 §1 ბ) დ) მუხლები (§ 30) პროცესში მონაწილე მხარეებს უფლებას აძლევდა საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის საკუთარი ხარჯებით ჩატარებაზე. ეს უფლება არ წარმოადგენდა ხელისუფლების მხრიდან რაიმე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ განსჯის საგანს. პროცესის მწარმოებელთათვის მხოლოდ უნდა ეცნობებინათ ექსპერტიზის დანიშვნისა და მასში დასმული საკითხების შესახებ. უფრო მეტიც, ასეთი ექსპერტიზის დასკვნა

სავალდებულო წესით უნდა დართოდა სისხლის სამართლის საქმეს და სხვა მტკიცებულებებთან ერთად უნდა შეფასებულიყო. 2000 წ. 14 ოქტომბრით დათარიღებული ბ-ნი მ.თ.-ს პასუხი, ისევე როგორც მთავრობის დამატებითი მიმოხილვა, ადასტურებენ აღნიშნული დებულებების ამგვარ ინტერპრეტაციას. (§§ 29 და 36).

53. შემდგომ, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მტკიცებათა საწინააღმდეგოდ (წინამდებარე განაჩენის 33 და 36 პუნქტები), განმცხადებლის ადვოკატმა 2000 წ. 10 ოქტომბრის განცხადებაში მიუთითა რა მისი კლიენტის მიმართ განხორციელებული წამების შესახებ დამოუკიდებელი ექსპერტიზის დანიშვნის ნებართვა არ მოუთხოვია. ადვოკატი პირდაპირ დაეყრდნო რა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლს, შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს უბრალოდ აცნობა ასეთი ექსპერტიზის საჭიროების შესახებ და მიუთითა იმ პირთა სახელები, რომლებსაც დაცვის მხარის ხარჯებით აღნიშნული გამოკვლევა უნდა ჩაეტარებინათ (§ 16), მაგრამ ეს განცხადება გამომძიებელმა განიხილა როგორც „ნებართვის გაცემის მოთხოვნა“ და უარყო იმ მოტივით, რომ ადვოკატის განცხადებაში ჩამოთვლილ პირებს არ ჰქონდათ შესაბამისი ლიცენზია.

54. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი დადგენილებით, რისი უფლებაც, სსსკ-ის მიხედვით, გამომძიებელს აშკარად არ გააჩნდა, მან ჭეშმარიტების დადგენას მნიშვნელოვნად ხელი შეუშალა. უფრო მეტიც, ასეთი გადაწყვეტილების სამოტივაციოდ მოყვანილი მიზეზები მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძვლებს და არც შესაბამისი ფაქტობრივი არგუმენტაცია გააჩნდა.

55. კერძოდ, მოქმედი სსსკ-ის (§ 30) მიხედვით, ექსპერტს უნდა ჰქონდეს სპეციალური ცოდნა, მუშაობდეს საექსპერტო დაწესებულებაში ან გააჩნდეს შესაბამისი ლიცენზია (მუხლი 96). სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა შეიძლება განხორციელდეს საექსპერტო დაწესებულების სპეციალისტ-ექსპერტის მიერ ან განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვა დაწესებულების სპეციალისტის ან კერძო პირის მიერ (მუხლი 359§2).

56. თავდაპირველ სამთავრობო მიმოხილვაში მოყვანილ მტკიცებათა საპირისპიროდ (იხ. §33), გამომძიებელი დაუპირისპირდა არა ე. ფიფიას სახელობის იმ კვლევითი ინსტიტუტის ლიცენზიის არარსებობას, სადაც განმცხადებლის მიერ დასახელებული სპეციალისტები მუშაობდნენ, არამედ – უშუალოდ ამ პირების სერტიფიცირების საკითხს. თუმცა, 2000 წ. 11 ოქტომბრის დადგენილებისა და საქმეში არსებული სხვა მასალების გათვალისწინებით, ნათელი არ არის მოსთხოვა თუ არა გამომძიებელმა ქნებს მ.ნ.სა და ქ.ფ.-ს წარედგინათ „შესაბამისი ლიცენზიის“ დამადასტურებელი ცნობა. ამასთანავე, მთავრობა აღნიშნავს, რომ განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმე არ შეიცავს შესაბამისი რიცხვით დათარიღებულ რაიმე სახის დოკუმენტალურ მტკიცებულებას, რომელიც დაადასტურებდა შესაბამისი სერტიფიკატის არარსებობას, რასაც ქნებს მ.ნ.-ს და ქ.ფ.-ს საყვედურობდნენ. სამაგიეროდ, საქმის მასალებში არსებობს 2005 წ. 2 ნოემბრით დათარიღებული ლიცენზირების სამსახურის მიერ გაცემული წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ სასამართლო მედიცინის დარგში ლიცენზიების გაცემა განხორციელდებოდა მხოლოდ 2002 წ. იანვრიდან. ამ პირობებში მკაფიოდ არ არის ნათელი

გამომძიებელი 2000 წ. 11 ოქტომბრის დადგენილებაში რის საფუძველზე საყვედურობდა ქნებს მ.ნ.-სა და ქ.ფ.-ს „შესაბამისი ლიცენზიის არქონას“. უფრო მეტიც, თუკი სსსკ 96-ე (§2) მუხლი ეყრდნობოდა აღნიშნულ ლიცენზიას, იგი არ აღგენდა ასეთის არსებობის აუცილებლობის წინაპირობას დაინტერესებული პირის მოთხოვნით დანიშნული აბსოლუტურად ნებისმიერი ექსპერტიზის ჩასატარებლად. პირიქით დებულებაში მითითებული იყო, რომ „ყველა პირს“, რომელსაც გააჩნდა სპეციალური ცოდნა შეეძლო განხორციელებინა ექსპერტის ფუნქცია. ამასთანავე 359-ე (§2) მუხლი უშვებდა ექსპერტიზის განხორციელების შესაძლებლობას სხვა დაწესებულების სპეციალისტის ან კერძო პირის მიერ.

57. საქმის მასალებიდან არ ჩანს, გაარკვია თუ არა გამომძიებელმა 2000 წ. 11 ოქტომბრის დადგენილების მიღებისას ქნების მ.ნ.-სა და ქ.ფ.-ს სპეციალური სამედიცინო ცოდნის საკითხი, რომელიც ზემოხსენებული დებულებების საერთო მიმოხილვის შედეგად წარმოადგენდა პრაქტიკულად ერთადერთ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნას, რასაც უნდა დაპირისპირებოდა პროცესის მწარმოებელი. თავის მხრივ, ევროპული სასამართლო აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ დასახელებული პირები მუშაობდნენ სპეციალიზირებულ სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტში და, რომ ქნმა მ.ნ.-მ 2004 წ. 9 ივლისს წარმოადგინა პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის მიხედვითაც იგი 18 წ. განმავლობაში ახორციელებდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის ფუნქციებს (მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ საჩივარი №39726/04).

58. ზემოთმოყვანილ მსჯელობათა გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მთავრობის პოზიციის საპირისპიროდ არ თვლის, რომ 2000 წ. 11 ოქტომბრის დადგენილება წარმოადგენდა ადეკვატურ რეაგირებას განმცხადებლის მოთხოვნებთან დაკავშირებით (§33).

59. რაც შეეხება 2000 წ. 14 ოქტომბრით დათარიღებულ ბ-ნი თ-ს პასუხს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული წერილის განმცხადებლის ადვოკატისათვის გადაცემა მხარეთა შორის კამათს იწვევს.

60. წინამდებარე საჩივარის შეტანის მომენტიდან მომჩივანი ირწმუნებოდა, რომ მას 2000 წ. 14 ოქტომბრის წერილის შესახებ აცნობეს მხოლოდ ორი წ. შემდეგ – 2002 წ. 18 ოქტომბერს. არ უარყოფდა რა თავის წინასწარ მიმოხილვებში მოწინააღმდეგე მხარის ამ არგუმენტს მთავრობამ 2005 წ. 2 ნოემბერს (§7) პირველად აღნიშნა, რომ სადავო საპასუხო წერილთან დაკავშირებით ადვოკატს იმავე დღეს ეცნობა. თუმცა, მთავრობას არ წარმოუდგენია ამ მოსაზრების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. რაც შეეხება მომჩივანს, იგი ირწმუნებოდა, რომ მას აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეეძლო სათანადოდ დაპირისპირებოდა მთავრობას, ვინაიდან ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებისაგან მან საქმის მასალების გაცნობის მოთხოვნაზე უარი მიიღო. მიუხედავად სასამართლოს თხოვნისა, მთავრობას ამ არგუმენტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია არ გამოუხატავს (§68).

61. ევროპული სასამართლო თავის მხრივ გამოთქვამს გარკვეულ გაკვირვებას იმის შესახებ, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო მოეპოვებინა ის დოკუმენტი, რომელიც ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ უშუალოდ მისი ადვოკატისათვის იყო მიმართული. ნებისმიერ შემთხვევაში, წინა პარაგრაფში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, ევროპულ

სასამართლოს არ მიაჩნია, რომ განმცხადებლის პრეტენზიას სადავო პასუხის 2002 წ. 18 ოქტომბერს მიღების შესახებ მთავრობის მხრიდან არ მოჰყოლია სათანადოდ დასაბუთებული საწინააღმდეგო არგუმენტი.

62. ნებისმიერ შემთხვევაში, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წ. 16 ოქტომბერს განმცხადებლის ადვოკატმა ექსპერტების ქნების მ.ნ.-სა და ქ.ფ.-ს დაკავებულის საკანში შეშვების მოთხოვნით მიმართა უშიშროების სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსს. ამასთან, მან მიუთითა, რომ გამოძიებულს ეცნობა აღნიშნულთან დაკავშირებით (§ 26). ადვოკატმა განახორციელა ის მოქმედებები, რომელიც მთავრობის მოსაზრების შესაბამისად, მას უნდა განეხორციელებინა 2000 წ. 14 ოქტომბრის წერილს დაუყოვნებლივ მიღების შემთხვევაში (§29). მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს ექსპერტიზა არ განხორციელდა მხარეთა შორის რაიმე დავას არ წარმოშობს. განმცხადებლის მტკიცებით, აღნიშნული ექსპერტიზის არარსებობა აიხსნებოდა ხელისუფლების მხრიდან ხელოვნური დაბრკოლებების შექმნით. მის მიერ წარმოდგენილ არგუმენტების მიხედვით, მთავრობამ ვერ მოახერხა ამ მოსაზრების უარყოფელი სათანადოდ დასაბუთებული პოზიციის წარდგენა.

63. ამრიგად, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა არათანმიმდევრული ქმედებების გამო, განმცხადებლის ადვოკატის 2000 წ. 10 ოქტომბრის განცხადებას შედეგად დაინტერესებული პირისათვის მოთხოვნილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება არ მოჰყოლია.

64. ამასთანავე, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან განმცხადებლის მიმართ მიყენებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ გაცხადებული პრეტენზიის მიუხედავად, შესაბამისმა ორგანოებმა არ განახორციელეს რაიმე სხვა საპროცესო მოქმედება (წინასწარი დაკავების იზოლატორის პასუხისმგებელ პირთა დაკითხვა; განმცხადებლის დაკითხვა, დაპირისპირება და სხვა) წარდგენილი საჩივრის პასუხად გამოძიების წარმოების შესახებ.

65. საგამოძიებო მოქმედებათა არარსებობის პირობებში ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას მის პროცედურულ ნაწილთან მიმართებით.

II. კონვენციის მე-13 მუხლის საგარეულო დარღვევა

66. ასაჩივრებს რა დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის არარსებობას, მომჩივანი მიუთითებს ევროპული კონვენციის მე-13 მუხლს, რომლის მიხედვით:

“ვევლას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.”

67. სასამართლო გვასვენებს, რომ მე-13 მუხლი წარმოადგენს ისეთი შიდა სამართლებრივი მიმართვის საშუალებების არსებობის გარანტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების და თავისუფლებების დაცვა. ამდენად აღნიშნული დებულება მიზნად ისახავს სამართლებრივი დაცვის ისეთი საშუალებების მოთხოვნას, რომელიც კომპეტენტურ შიდა ინსტანციებს მიანიჭებს უფლებამოსილებას აღიაროს კონვენციის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის შინაარსი და მოახდინოს სათანადო რეაგირება, იმ გარკვეული შეფასების ზღვრის მიუხედავად, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ, ამ დებულებით ნაკისრი ვალდებულებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. მე-13 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებების ფარგლები იცვლება იმ პრეტენზიების შესაბამისად, რასაც დაინტერესებული მხარე კონვენციის დებულებებიდან გამომდინარე აყენებს. თუმცა, მე-13 მუხლით მოთხოვნილი სამართლებრივი მიმართვის საშუალება უნდა იყოს „ეფექტიანი“ როგორც პრაქტიკული ისე სამართლებრივი გაგებით. როდესაც ინდივიდი წარადგენს მე-3 მუხლიდან გამომდინარე პრეტენზიებს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, ეფექტიანი გასაჩივრების ცნება მოიცავს იმ სრულყოფილი და შედეგიანი გამოძიების წარმოებას, რომელსაც მე-3 მუხლი ასევე ითვალისწინებს. ეფექტიანი გამოძიების წარმოების ხელმისაწვდომობა, რომელმაც უნდა განაპირობოს დანაშაულის ჩამდენ ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოვლენა და მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს ამ დებულების ძირითად მიზანს (ზემოსსენებული ანგელოვა, §161; ასსენოვი §117).

68. მოცემულ შემთხვევაში მომჩივანმა ხელისუფლების შესაბამის ორგანოების წინაშე წარადგინა მე-3 მუხლიდან გამომდინარე საჩივარი (§46).

69. თუმცა, ზემოთმოყვანილ გარემოებათა გათვალისწინებით, საიდანაც მკაფიოდ ჩანდა, რომ რომ მომჩივანს უარი განუცხადეს დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე და იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებამ არ განახორციელა რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის მიზნით მითითებულ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან მიმართებით. სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ვერ შეძლო ევროპული კონვენციის მე-13 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

70. ამდენად, ადგილი ჰქონდა აღნიშნული დებულების დარღვევას.

III. კონვენციის მე-41 მუხლის გამოყენება

71. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

72. მომჩივანი ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი საჩივარის ფორმულარის მიხედვით ირწმუნებოდა, რომ მიყენებულ მატერიალურ ზიანს 100.000 აშშ დოლარად აფასებდა, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით კი მილიონ აშშ დოლარს ითხოვდა. ამასთანავე, საჩივარა რა გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების შესახებ, ირწმუნებოდა, რომ მან წარადგინა საჭირო დოკუმენტი ამ მოთხოვნის დასასაბუთებლად. თუმცა საჩივარის დაშვებადობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მომჩივანს სასამართლოს მოთხოვნის შესაბამისად, მას გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნით რაიმე პრეტენზია არ წარუდგენია. (საქმე „Fadi I Yilmaz v. Turkey“, §73. სასამართლო იმეორებს, რომ იგი სამართლიანი დაკმაყოფილების სახით გარკვეული ოდენობის თანხას არ გასცემს მანამდე, სანამ სასამართლოს რეგლამენტის მე-60 მუხლის (§1) შესაბამისად, კონკრეტულად გაანგარიშებული პრეტენზიები დამადასტურებელ საჭირო დოკუმენტებთან ერთად, მითითებულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი, იმ შემთხვევაში, თუკი მომჩივან მხარეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი კომენტარები სასამართლოსათვის სამართალწარმოების შესაბამის სტადიაზე არ მიუწოდებია ო 28171/02, § 26, 2005 წ. 21 ივლისი).

74. მიუხედავად ამისა, სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნის (იხ. ზემოთ წინამდებარე გადაწყვეტილების პარაგრაფები 65 და 70) საფუძველზე თვლის, რომ მომჩივანს გარკვეული მორალური ზიანი მიაღვა.

71. შედეგად, საქმის სპეციფიკურ გარემოებებთან გათვალისწინებით, სასამართლო მომჩივანს სამართლიანი დაკმაყოფილების სახით მორალური ზიანის ასანაზღაურებასთან დაკავშირებით 3.000 ევროს ანიჭებს.

ბ. საურავი

72. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი

ზემოსხენებულისგან გამომდინარე ევროპული სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ:

1. განმცხადებლის მიმართ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, მის მატერიალურ ნაწილთან მიმართებით;

2. ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, აღნიშნული დებულების პროცედურულ ნაწილთან მიმართებით;

3. ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას;

4. სასამართლო ასევე ადგენს, რომ:

ა) მოპასუხე სახელმწიფომ 3 თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც წინამდებარე გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გახდება საბოლოო, გადახდის დღეს დადგენილი კურსის შესაბამისად, მომჩივანს ეროვნულ ვალუტაში გადაუხადოს 3.000 ევრო (სამი ათასი ევრო) მიყენებული მორალური ზიანისათვის, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

ბ) ზემოსხენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის გადახდამდე, აღნიშნულ თანხას, გადაუხდელობის პერიოდში, დაერიცხება პროცენტი, რომელიც თანაბარი იქნება ევროპის ცენტრალური ბანკის მინიმალურ სასესხო განაკვეთისა, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე და 2006 წ. 27 ივლისს გაცხადებულია წერილობით, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლის შესაბამისად.

ს. დოლე
განმწესრიგებელი

ჟ.-პ. კოსტა
პრეზიდენტი